სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ბოლნისის „ყოჩები“ - ქუთაისის „აია’		
გუნდი	ბოლნისის „ყოჩები“	შეჯიბრი	სეზონის წინა გასახურებელი მატჩი(დიდი 10)
მატჩის თარიღი	16/08/2024	მატჩის ადგილი	გორი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ომარ ბალიაშვილი		
☒მსაჯი ☐საითინგ კომისარი	შოთა ცაგარეიშვილი	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	**9.28 (დ)** მოთამაშემ არ უნდა გამოიყენოს მუქარის შემცავი ქმედება ან სიტყვები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ.	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	20/08/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	„ყოჩები“-ს მწვრთნელი ვიქტორ დიდებულიძე	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის შოთა ცაგარეიშვილის საჩივარი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;		

ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის შოთა ცაგარეიშვილის საჩივარი (ციტირება) – „გორში გამართულ ამხანაგურ თამაშში "ყოჩები - აია" ვიყავი მთავარი მსაჯი. მატჩის მეოცე წუთზე ყოჩების მოთამაშე ლევან გოგოლაშვილი დავაჯარიმე ბურთზე ვერ შელევის გამო. რასაც მოყვა მისი პროტესტი და ყვირილი. ჯარიმა გადავწიე 10 მეტრით, რის შემდეგაც აგრძელებდა ყვირილს თუ რატომ ? შემდეგ ვკითხე თუ რა აყვირებდა, რასაც მოყვა ყოჩების მოთამაშის ომარ ბალიაშვილის გაღიზიანება. ეს უკანასკნელი აგრესიულად წამოვიდა ჩემსკენ მაუსურზე მომკიდა ხელი და დამიწყო მუქარა რომ "გვერძე" გავსულიყავით სადაც ლაპარაკს მასწავლიდა. თავისივე გუნდელებმა გაიყვანეს ჩემგან მოშორებით, იგი მაინც განაგრძობდა მუქარას ტექსებით: "გარეთ გამოდი ჭკუას გასწავლი". დაძაბული გარემოს გამო გადავწყვიტე თამაში დამემთავრებინა და წამოვსულიყავი."
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა - ვიდეომასალის მიხედვით, მსაჯი თამაშის წესების დარღვევისთვის აჯარიმებს „ყოჩები"-ს ერთერთ მოთამაშეს, რის შემდეგაც მასთან მიდის „ყოჩები"-ს მოთმაშე ომარ ბალიაშვილი (N18), რომელიც არ იყო ამ კონკრეტულ დარღვევასთან არანაირ კავშირში და აგრესიული, მუქარის შემცველი ჟესტიკულაციით ემუქრება მსაჯს, იწევს მსაჯისკენ. რა დროსაც, მისი თანაგუნდელები აკავებენ მას. ვიდეომასალის 41-ე წამზე ისმის ომარ ბალიაშვილის რეპლიკა მსაჯის მიმართ „შენ თუ ლაპარაკი არ გასწავლო ...(ბილწსიტყვაობა)", მუქარის შემცველი ჟესტები და მსაჯისკენ გაწევა მეორდება რამოდენიმეჯერ. საბოლოოდ ომარ ბალიაშვილი თანაგუნდელებს გამოჰყავთ მოედნის კიდისკენ.
3. მატჩის მსაჯის შოთა ცაგარეიშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - შოთა ცაგარეიშვილის განცხადებით, ბოლო ინციდენტამდე მას ჰქონდა კომუნიკაცია ომარ ბალიაშვილთან. მისი განცხადებით, ბალიაშვილი აპროტესტებდა მის გადაწყვეტილებას კონკრეტული სათამაშო მომენტის შესახებ, რაზეც მან მოუწოდა მოთამაშეს, რომ ეცლია მისთვის მსაჯობა და ყველას თავისი საქმე ეკეთებინა. შოთა ცაგარეიშვილის განცხადებით, მას შემდეგ რაც შეწყვიტა თამაში, ომარ ბალიაშვილთან პირადი კომუნიკაცია არ ჰქონია, თუმცა რამოდენიმე დღის შემდეგ, მათ შორის შედგა სატელეფონო საუბარი, რა დროსაც ომარ ბალიაშვილმა წუხილი გამოთქვა მომხდარი ინციდენტის გამო.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

„ყოჩები"-ს მოთამაშემ ომარ ბალიაშვილმა აღიარა მისი მხრიდან არასპორტული საქციელი, რის გამოც (ციტირება) „ბოდიშს ვუხდი მთელ რაგბის სამყაროს", თუმცა განაცხადა, რომ მისი საქციელის გამომწვევი მიზეზი იყო მსაჯის არაეთიკური, გამაღიზიანებელი და „ძველბიჭური" რეპლიკები მისი და მისი თანაგუნდელების მიმართ. ომარ ბალიაშვილის განცხადებით, ბოლო ინციდენტამდე იყო პირველი ინციდენტი მასსა და მსაჯს შორის. კერძოდ მის კითხვას სათამაშო მომენტის შესახებ მსაჯმა უხეშად უპასუხა რაზეც მან საკადრისი პასუხი გასცა, საბოლოოდ მსაჯმა უხეში მომართვისთვის ბოდიშიც კი მოუხადა

მას. რაც შეეხება ბოლო ინციდენტს, მსაჯმა უხეშად მიმართა მის თანაგუნდელს, რამაც მისი უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. ომარ ბალიაშვილის განცხადებით, სადისციპლინო კომისია მისი კი არა, მსაჯის (შოთა ცაგარეიშვილის) საქციელს უნდა განიხილავდეს, რომელმაც განაპირობა მისი საპასუხო ქმედება.

ფაქტობრივი მოცემულობზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების და მხარეთა განცხადებების განხილვის შემდეგ, კომისიამ იმსჯელა მომხდარი ინციდენტის შესახებ და განმარტავს:

1. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.5 პუნქტის მიხედვით - პიროვნება (მათ შორის მოთამაშე) ვალდებულია „აღიაროს მატჩის ოფიციალური პირების ავტორიტეტი და დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებებს;“
2. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #6-ს მე-3 პუნქტის მიხედვით - **მატჩის ოფიციალურ პირთა და მათი ზედამხედველის(მწვრთნელის) გარდა არავის არ აქვს უფლება მიმართოს მატჩის ოფიცალურ პირს თამაშისას, შესვენებისას და მატჩის შემდეგ, შევიდეს მათ გასახდელ ოთახში რაიმე თამაშთან დაკავშირებული საკითხის განსახილველად თუ თავად მატჩის ოფიციალური პირი არ დართავს ამის ნებას.**

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობის და განხილვის შემდეგ, მართებულად მიიჩნია მსაჯის გადაწყვეტილება თამაშის შეწყვეტის შესახებ, მისი უსაფრთხოების დარღვევის გამო. კომისიამ დადგენილად ცნო „ყოჩები“-ს მოთამაშის, ომარ ბალიაშვილის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.28(დ) პუნქტის დარღვევა. კომისიამ დარღვევის სიმძიმის შეფასების დროს გაითვალისწინა ინციდენტის წინმსწრები და თანმხლები გარემოებები, კერძოდ :

ა) მოთამაშე, ომარ ბალიაშვილი ინციდენტამდე გაფრთხილებული იყო მსაჯის მიერ, მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტების გამო;

ბ) ომარ ბალიაშვილი არ იყო არანაირ კავშირში კონკრეტულ დარღვევასთან;

ბ) მოთამაშის ქმედება (მუქარის შემცელი ჟესტიკულაცია და ქმედება) განმეორდა არაეთგზის;

გ) მატჩის მსაჯმა მისი უსაფრთხოების პირობების დარღვევის გამო შეწყვიტა თამაში;

ზემოჩამოთვლილი გარემოებებებიდან გამომდინარე, სადისციპლინო კომისიამ დარღვევა შეაფასა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.28(დ) პუნქტით განსაზღვრული შუა ზღვარის ტოლფასად.

სადისციპლინო კომისიამ გადაწყვეტილების მიღების დროს იხელმძღვანელა და გაითვალისწინა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.5-თ და 5.7 პუნქტებით განსაზღვრული ინციდენტის შემდგომი ყველა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცირების პროცედურა	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტით განსაზღვრული **დარღვევის სიმძიმის შეფასება**	
☒ **შეგნებული/წინასწარ განზრახული**	☐ **წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი**
დარღვევის სახის დადგენის საფუძველი	
ინციდენტის ამსახველ ვიდეომასალა და მატჩის ოფიციალური პირის საჩივარი	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.28(დ) პუნქტით განსაზღვრული შუა ზღვარის ტოლფასი	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:	
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე	
მსაჯის უსაფრთხოების დარღვევის გამო თამაში შეწყდა მსაჯის გადაწყვეტილებით;	

დაშავებულის დაცულობის ხარისხი
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;
დამრღვევი მოთამაშე არ იყო კონკრეტულ დარღვევასთან არანაირ კავშირში;
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

დარღვევის სიმძიმის ზღვარი. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით**		
ქვედა ზღვარი კვირა.	**შუა ზღვარი 24(ოცდაოთხი) კვირა/თამაში**	ზედა ზღვარი კვირა*

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შემამსუბუქებელი გარემოებები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
არა	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
არა	არა
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**
ინციდენტიდან რამოდენიმე დღეში დაუკავშირდა მსაჯს და წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო.	

დაკლებული კვირების რ-ბა: 6 (ექვსი) კვირა/თამაში

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : ზემოჩამოთვლილი შემამსუბუქებელი გარემოებების გამო კომისიამ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.8 პუნქტის მიხედვით მიიღო საწყისი სანქციის 25%-თ შემსუბუქების გადაწყვეტილება.

დამამძიმებელი გარემოებები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ))
ინციდენტამდე დამრღვევი მოთამაშე გაფრთხილებული იყო მსაჯის მიერ მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტების გამო.
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))
არამართებული ქცევა სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, რაც გამოიხატა სადისციპლინო კომისიის წევრების უპატივისმცემლობასა და აგრესიული ტონით საუბარში.

დამატებითი კვირების რ-ბა: 2(ორი) კვირა/თამაში

სანქცია

- **სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	20(ოცი) კვირა/თამაში	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	22/08/2024	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	დიდი 10-ს სათამაშო განრიგის მიხედვით უცნობია.	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)		
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება რაგბის თამაშის ნებისმიერი დონის თამაშის დროს, რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	**თარიღი**	21/08/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]